

16/07/2021

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმომადგენელი თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯეპრა ბათუმი“, წარმომადგენელი დირექტორის ხათუნა ბერიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება - **NAT210010509**, კლასიფიკატორის კოდი - 80500000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტი: აჭარის ა.რ ხუთ მთიან მუნიციპალიტეტში სერვისის სფეროს წარმომადგენლებისთვის (საოჯახო სასტუმრო სახლები) სერვისის გაუმჯობესების თემატიკაზე სატრენინგო მომსახურება - დანართი N2-ის შესაბამისად, რომელიც თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.2 მიმწოდებელმა 2021 წლის 10 ოქტომბრამდე უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურების დასრულება.
- 1.3 ტრენინგი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებს და დისკუსიებს.
- 1.4 სატრენინგო მომსახურებაში ჩართული უნდა იყოს აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის არანაკლებ 25 სოფელში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლები (ჯამში არანაკლებ 250 ადამიანი).
- 1.5 ტრენინგი უნდა ჩატარდეს აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის წინასწარ შერჩეულ სოფლებში და საოჯახო სასტუმრო სახლში. (თითოეულ სოფელში ტრენინგზე დამსწრეების რაოდენობა არანაკლებ 10 ადამიანი).

ტრენინგის თემატიკა:

თემა „განთავსების ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკა.“

თემატიკა:

- სოფლად არსებული სასტუმრო სახლების ტიპები და მათი საერთაშორისო სტანდარტები.
- დამისთვეა-ინდივიდუალური და ჯგუფური შეთავაზებები.
- სასტუმრო სახლის ინტერიერი და ექსტერიერი.
- კოვიდ-19 შესაბამისი რეგულაციების გაცნობა.
- დალაგების თავისებურებები და სერვისების კალკულაცია.
- სტუმრის მიღების პროცედურები და ანგარიშსწორების საკითხები.

თემა „სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში და მათი სწორად სერვირება.“

თემატიკა:

- სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში (საუზმე, სადილი, ვახშამი).
- ადგილობრივი კერძების უპირატესობა.
- სერვირების სპეციფიკა.
- კვების კალკულაცია.

ტრენინგის ხანგრძლივობა:

- ტრენინგის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 2 დღე თითოეულ სოფელში და ჯამში სატრენინგო კურსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 საათს.
- 1.6 ტრენინგის ყველა დეტალი უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.
 - 1.7. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **28899** ლარს, (ხარჯთაღრიცხვა დანათი N2 თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
 - 1.8 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ტრენერის და/ან ტრენერების მოწვევა ტრენინგებზე, რომელიც წინასწარ შეთანხმებული სქემის - შემსყიდველის მიერ დადასტურებული განრიგისა და თემატიკის (სატრენინგო პროგრამის) მიხედვით ჩატარებს ტრენინგს.
- ბ) უზრუნველყოს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან ტრენინგების კოორდინატორის და ტრენერების ტრანსპორტირება ყოველდღიურად ტრენინგის ჩატარების ადგილამდე და უკან.
- გ) უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში ღამისთევის და კვების უზრუნველყოფით. (გრაფიკი შეთანხმდება ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად.
- დ) მიმდინარეობის თითოეული დღისთვის უზრუნველყოს წყალი და ყავა ყველა მონაწილისთვის და დღის განმავლობაში ერთჯერადი კვების (ლანჩის) ორგანიზება ჯგუფებისთვის. მენიუ შემსყიდველთან შეთანხმდება წინასწარ.
- ე) სატრენინგო პროცესთან დაკავშირებული ყველა დეტალი, მათ შორის სატრენინგო თემატიკა, ტრენერები, ლოკაციები, ფორმატი და სხვა ყველა დეტალი შეთანხმდეს შემსყიდველთან. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს პროექტის დაგეგმარებაში ცვლილებები პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.
- ვ) უზრუნველყოს ტრენინგისათვის აუცილებელი ტექნიკური საკითხები: ტრენინგის დარბაზი - შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკონფერენციო/სატრენინგო დარბაზი ან/და რომელიმე საოჯახო სასტუმრო სახლის დიდი ოთახი, (გათბობის/გაგრილების საშუალებით აღჭურვილი), პროექტორი და ლეპტოპი, საკანცელარო ნივთები.
- ზ) უზრუნველყოს შესაბამისი სერტიფიკატის დამზადება (მაღალი ხარისხის მასალა, ზომა და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით).
- თ) წინასწარ მოახდინოს ყველა ლოკაციის სატრენინგო პროგრამისა და სატრენინგო მასალის ატვირთვა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სერვისი განვითარების ონლაინ პლატფორმაზე (serviceajara.ge), რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნულ ლოკაციებიდან პირთა ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობა.
- ი) პანდემიიდან გამომდინარე, წესების და საჭიროების გათვალისწინებით, ადგილზე, თითოეულ სოფელში, ორგანიზება გაუკეთდეს სატრენინგო პროცესს.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სერვისის განვითარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თამარ ჯიჯავაძე.

4. მომსახურების გაწევის პერიოდი და ადგილი

4.1. მომსახურების დასრულება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2021 წლის 10 ოქტომბრამდე.

4.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე არსებული სასტუმრო საოჯახო სახლების წარმომადგენლებისათვის

- ა) აჭარის ა.რ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფ: ლედვა
ქვედა კვირიკე
ზენითი
ზედა სამება
ხუცუბანი
სახალვაშო

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

ბ) აჭარის ა.რ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: კაპნისთავი
ჭარნალი
კირნათი- მარადიდი
ჩიქუნეთი
ზედა ჩხუტუნეთი

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

გ) აჭარის ა.რ. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: მილისი
ზვარე
გულები-ზესოფელი
უჩხითი
დანდალო

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

დ) აჭარის ა.რ. შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: ბრილი
ნენია
პაპოშვილები
დარჩიძეები
ჭვანას ხეობა

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

ე) აჭარის ა.რ. ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: თაგო
დანისპარაული
უჩხო
ბელეთი
ღორჯომის ხეობის სოფელი

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

ლოკაციების შეცვლა და გადაადგილება შესაძლებელია შემსყიდველთან წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება- ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი პირებია:

- ა) თინათინ ზოიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- ბ) თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
- გ) თამარ ჯიჯავაძე - სერვისის განვითარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

6. ანგარიშსწორება

- 6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ქვეკონტრაქტორი

8.1. ქვეკონტრაქტორი არ დაიშვება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
- 9.2. თუ მიმწოდებელი დროულად არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 9.3. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა არაჯეროვანი შესრულება, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და მიმწოდებლისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრას აზრი არ აქვს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუსრულებელი ვალდებულების 3%-ის ოდენობით.
- 9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.
- 9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	შპს „ჯეპრა ბათუმი“
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი -445456514
ტელ: (+995) (422) 27 50 23	ტელ: +99593650985
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	მისამართი: ქ. ბათუმი ჯავახიშვილის #38
	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს. საქართველოს ბანკი
	ბანკის კოდი - BAGAGE22
	ა/ნ - GE03BG000000921981100
დეპარტამენტის თავმჯდომარე	დირექტორი
თინათინ ზოიძე	ხათუნა ბერიძე

2021 წლის 16 ივლისის N79 ხელშეკრულების დანართი N2

№	სატრენინგო მომსახურების დასახელება	საათების რაოდენობა (არანაკლებ)	სულ ფასი (ლარი)
1	სატრენინგო მომსახურება ხულოს მუნიციპალიტეტის საოჯახო სასტუმრო სახლების სოფლებში	50	5779.8
2	სატრენინგო მომსახურება შუახევის მუნიციპალიტეტის საოჯახო სასტუმრო სახლების სოფლებში	50	5779.8
3	სატრენინგო მომსახურება ქედის მუნიციპალიტეტის საოჯახო სასტუმრო სახლების სოფლებში	50	5779.8
4	სატრენინგო მომსახურება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საოჯახო სასტუმრო სახლების სოფლებში	50	5779.8
5	სატრენინგო მომსახურება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საოჯახო სასტუმრო სახლების სოფლებში	50	5779.8

სულ ჯამი 28 899 ლარი